გულითადი სალამი საქართველოს!

კოსმონავტები ვ. მ. კომაროვი, კ. პ. ფეოკტისტოვი და ბ. ბ. ეგოროვი „კომუნისტის“ მკითხველებს

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. დღეს მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზში გაიმართა პრეს-კონფერენცია, მიძღვნილი მსოფლიოში პირველი მრავალადგილიანი საბჭოთა კოსმოსური ხომალდის „აისის“ გაფრენისადმი, რომელიც განახორციელეს მფრინავმა კოსმონავტებმა, სსრ კავშირის გმირებმა ინჟინერ-პოლკოვნიკმა ვ. მ. კომაროვმა, ტექნიკური მეცნიერებათა კანდიდატმა კ. პ. ფეოკტისტოვმა და კოსმონავტმა ექიმმა ბ. ბ. ეგოროვმა.

გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალურმა კორესპონდენტმა ო. ლორთქიფანიძემ სთხოვა გმირ კოსმონავტებს გამოეთქვათ თავიანთი სურვილები „კომუნისტის“ მკითხველებისადმი, საქართველოს მშრომელებისადმი. მათ სიამოვნებით შეასრულეს ეს თხოვნა.



კოსმონავტები ვ. კომაროვი, ბ. ეგოროვი და კ. ფეოკტისტოვი.

„გულწრფელი სალამი და ცხოვრებაში დიდი მიღწევების სურვილი ხომალდ „აისის“ ეკიპაჟის წევრებისაგან.

ვ. კომაროვი“.

Искренний привет
и пожелание больших
успехов в жизни
от всего экипажа
корабля „Восход“.

„მინდა გადმოგცეთ სალამი და მოგვიდოდეს ზრომაში წარმატებათა საუკეთესო სურვილები.

ფეოკტისტოვი“.

Хотелось бы передать
привет и пожелание
успехов
в вашем нелегком труде.

„ძვირფასო ამხანაგებო! გისურვებთ ბედნიერებას, სიხარულს და მიღწევებს ზრომაში. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მაქვს გადმოგცეთ მხურვალე სალამი.

ბ. ეგოროვი“.

Дорогие товарищи!
Желаю Вам счастья,
радости и успехов
в работе. Очень
счастлив, что могу
передать Вам самый
горячий привет

ПРОЛЕТАРIИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

СССР

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი.
№ 249 (13065)
პარასკევი, 23 ოქტომბერი, 1964 წ.
ფასი 2 კაპ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოში

მყიდველთა მოთხოვნა წარმოების კანონია

მსუბუქი მრეწველობის დაგეგმვის პრობლემებს მიეძღვნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა მოსკოვში. სხდომაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის მგეგმავი ორგანიზაციების, დარგობრივი კომიტეტების მუშაკებმა, მრეწველობისა და სავაჭრო საწარმოთა სპეციალისტებმა.

სხდომამ განიხილა დაგეგმვის ახალი წესის საკითხი — პირდაპირი ხელშეკრულებებით საწარმოებსა და საგაჭრო ორგანიზაციების შორის. წინადადებანი მომზადებულია ორი სამეცნიერო გაერთიანების — „ბოლშევიჩკის“ (ქ. მოსკოვი) და „შუქურის“ (ქ. გორკი) მუშაობის გამოცდილების საფუძველზე.

რა არის ახლებურად დაგეგმვის პრინციპი? მსუბუქი მრეწველობის საწარმოები შეასრულებენ მსხვილ საგაჭრო გაერთიანებათა შეკვეთებს. ეს შეკვეთები, შედგენილი მყიდველთა მოთხოვნის საფუძველზე, საშუალებას მისცემენ საგაჭრო და ფეხსაცმლის საწარმოებს თავიანთ საწარმოო გეგმაში შეიტანონ უფრო მეტ განსაკუთრებული ნაწარმი. აღარ არის საჭირო ბევრი შეალედური რგოლი საწარმოსა და მომხმარებელს შორის, რაც თავისთავად გამორიცხავს ცუდ ხარისხს და მოძველებული მოდელის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოებას, რომელზეც არ არის მოთხოვნა.

— ახლებურად მუშაობის გამოცდილებამ უკვე მოიტანა კარგი შედეგები, — თქვა თავის გამოსვლაში მოსკოვის გაერთიანების „ბოლშევიჩკის“ მთავარმა ინჟინერმა ე. მ. ტომაშევმა. უკანასკნელ ნახევარ წელიწადში, მას შემდეგ, რაც დავიწყეთ მუშაობა მაღაზიების პირდაპირი შეკვეთებით, არც ერთი კოსტუმი არ დარჩენილა საწყობში. იგივეთვე გადიდდა მოთხოვნა გორკის გაერთიანება „შუქურის“ პალტოსა და კოსტუმებზე, რომელსაც პირდაპირი ხელშეკრულებანი აქვს დადებული ვაჭრობის საწარმოებთან.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს კოლეგიას მიაჩნია, რომ პირველ სამრეწველო გაერთიანებათა გამოცდილება, რომელიც თვითონ მეშაობას საფუძვლად უდებენ მაღაზიების პირდაპირ შეკვეთებს, პერსპექტიულია. 1965 წლის მეორე ნახევრისათვის ჩვენი ქვეყნის ყველა სამკერვალო და ფეხსაცმლის საწარმოს მესამედზე მეტი გადაწყვეტილია გადაყვანილ იქნეს დაგეგმვის ახალ სისტემაზე. მათი საქმიანობის შეფასება მოხდება რეალიზებული პროდუქციის მოცულობის მიხედვით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტი, „ცენტროსოიუზი“ და მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროები შეიმუშავებენ და განახორციელებენ ღონისძიებებს ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სპეციალიზებული მაღაზიების ქსელის შრომაზე-ელოვანი გაფართოებისათვის. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ითვალისწინებენ საჭირო კაპიტალური დაბანდების გამოყოფას იმ საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის, სადაც შემოღებულ იქნება დაგეგმვის ახალი პირობები.

მეგობრული საუბარი

22 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ი. ცედენბალს, რომელიც მოსკოვში იმყოფება. ლ. ი. ბრეჟნევსა და ი. ცედენბალს შორის გაიმართა მეგობრული, გულითადი საუბარი.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მთელი ძალღონე მოახმარეთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საოქტომბრო მოწოდებებიდან.

გულთბილი მილოცვები

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მისალმება გაუგზავნეს უკრაინის კომპარტიის ჩერნიგოვის სასოფლო საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასკომს, კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ჩერნიგოვის ოლქის ყველა მშრომელს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის წლიური გეგმის შესრულების გამო.

მისალმებაში ნათქვამია, რომ ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 14 მილიონ 180 ათასი ფუთი პური გეგმით გათვალისწინებული 14 მილიონი ფუთის ნაცვლად. ძვირფასი საბურღული კულტურა — წიწიბურა მიყიდულია მილიონ ფუთზე მეტი. მეურნეობებმა საჭირო რაოდენობით მოამარაგეს თესლი, წარმოების მარცვლეულის გაცემა კოლმეურნეთა შრომადღეებზე, იქმნება სადაზღვევო და საფურაჟე ფონდები. მოყვანილია სიმინდი, შაქრის ჭარხლისა და კარტოფილის კარგი მოსავალი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ცელინოგრადის ოლქის მშრომელებს მხურვალედ მიულოცეს შესანიშნავი შრომითი გამარჯვება — სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება. ოლქის მხვნელ-მთესველებმა, აღნიშნულია მისალმებაში, მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი მოიყვანეს და 224 მილიონი ფუთი მარცვალი შეინახეს სამშობლოს ბეღელში. ძვირფასი სასურსათო კულტურის — ხორბლის მიყიდვის დავალება შესრულებულია 111 პროცენტით.

მეტი პროდუქტები სახელმწიფოს

ხაშურის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ზ. აბაზაძემ და საწარმოო სამართველოს უფროსმა ბ. მაისაშვილმა „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ ხაშურელმა მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ცხრა თვის გეგმა. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 111 პროცენტით, რძისა — 102, კვერცხისა — 115 და მატყლისა — 104 პროცენტით.

თავისებური მარცვლეულ კულტურების მიყიდვის წლიური გეგმა განლდებულია 100 პროცენტით, ლობიოსა — 100, ბარდისა — 116, აბრეშუმის პარკისა — 101, ეკრანოვანი ხილისა — 156 პროცენტით.

მეფრინველეთა შრომითი წარმატება

თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკამ დაამთავრა სახელმწიფოსათვის კვერცხის ჩაბარების წლიური გეგმა. 19 ოქტომბრისათვის ჩაბარებულია 10,319 ათასი ცალი კვერცხი, გეგმით გათვალისწინებული 10,5 მილიონი ცალის ნაცვლად.

ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე ჩაბარეს სახელმწიფოს კიდევ 2 მილიონი ცალი კვერცხი. (საქდესი).

საკონდიტრო ნაწარმი — გეგმის გადამეტებით

ტყვარჩელის საკონდიტრო ფაბრიკის კოლექტივმა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში ახალი შრომითი წარმატება მოიპოვა. ვადაზე ათი დღით ადრე სამშობლოს უმატეა ცხრა თვის დავალების შესრულება და გეგმის გადამეტებით 38 ტონაზე მეტი პროდუქცია გამოუშვა.

მუშები ვ. ხარჩილავა, ც. ასლანძია, ე. მირონენკო, ნ. ფომენკო, ე. მატოიანი და სხვები ყოველდღიურ დავალებას 120-130 პროცენტით ანაღდებენ.

საკონდიტრო ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა საერთო პროდუქციის გამომშვების 11 თვის დავალება ოქტომბრის დიდი დღესასწაულის დღისათვის შეასრულოს და გეგმის გადამეტებით 40 ტონა საკონდიტრო ნაწარმი გამოუშვას.

ნ. კორნილოვა.

მეგობრები ერთმანეთისაგან სწავლობენ

ერევნელი მშენებლები თბილისში

შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა მფავარობილისმშენის კომუნისტური შრომის მე-9 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა, რომელმაც წელს მშენებლობის დავალებათა ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ერევნის № 1 სამშენებლო ტრესტის კომუნისტური შრომის პირველი სამშენებლო სამმართველო.

ერევნელმა თანამოსაქმეებმა გამოწვევა ხალისით მიიღეს. ორივე მხარემ კონკრეტული ვალდებულება იკისრა და გადაწყვიტეს ურთიერთს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება.

ამ მიზნით წელს, როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, მარტში ქართველ მშენებელთა დელეგაცია ეწვია ერევნელ თანამოსაქმეებს.

თბილისის მშენებლებმა სიმეტ თანამოსაქმეებს სთხოვეს სწვეოდნენ თბილისს, გასცნობოდნენ მშენებლობაში მათ მიერ დანერგილ პროგრესულ მეთოდებს, მათს საქმიანობას.

და აი გუშინ თბილისის რკინიგზის სადგურზე სტუმრების შესახვედრად მოვიდა ქართველ მშენებელთა ჯგუფი. მატარებელი ერევანი-თბილისი სადგურზე ჩამოდგა.

ვაგონიდან გადმოდიან სიმეტ მშენებელთა დელეგაციის წევრები ერევნის კომუნისტური შრომის პირველი სამშენებლო სამმართველოს უფროსი ა. არაქელოვი, პარტიული კომიტეტის მდივანი მ. ტარონიანი, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე გ. ისაკიანი, სამუშაოთა მწარმოებლები ო. მურადიანი, მ. სრაპიონიანი და სხვ. სტუმრებს გულითადად მივესალმნენ მასპინძლები.

ერევნელი მშენებლები რამდენიმე დღეს დარჩებიან თბილისში, გაეცნობიან ქართველ მშენებელთა საქმიანობას და შეეჯიბრებიან სოციალისტური შეჯიბრებით ნაცისრ ვალდებულებათა შესრულების ცხრა თვის შედეგებს.

* * *

სურათზე: შეხვედრა თბილისის ვაგზალზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲖᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲐᲯᲘᲡᲪᲔᲛᲐ

საქართველოს სსრ მრეწველობის მიერ 1964 წლის III კვარტალისა და ცხრა თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც იბრძვიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეშვიდე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, წარმატებით შეასრულეს 1964 წლის III კვარტალისა და ცხრა თვის გეგმა.

საერთო პროდუქციის წარმოების 1964 წლის მესამე კვარტალის გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა მრეწველობამ 101 პროცენტით შეასრულეს. საერთო პროდუქციის გამომშვების ცხრა თვის გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 103 პროცენტით, მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მრეწველობაში — 102 პროცენტით.

საერთო პროდუქციის გამომშვების ცხრა თვის გეგმა ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე განლაგებულმა სამრეწველო საწარმოებმა შეასრულეს 102 პროცენტით, აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე განლაგებულმა საწარმოებმა — 104 პროცენტით, აჭარის ასსრ ტერიტორიაზე განლაგებულმა საწარმოებმა — 104 პროცენტით და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საწარმოებმა — 106 პროცენტით.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული მრეწველობის ცალკეული დარგების წარმოების ზრდა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1964 წლის ცხრა თვე პროცენტობით 1963 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით
ქიმიური მრეწველობა	120
შავი მეტალურგია	105
ელექტროენერგიისა და თბოენერგიის წარმოება	127
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	112
საშენი მასალების მრეწველობა	110
სატყეო, ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობა	107
მსუბუქი მრეწველობა	98
აქედან საფეიქრო	99,1
ტვების მრეწველობა	95
აქედან:	
ჩაის მრეწველობა	103
მეღვინეობის მრეწველობა	72
თამბაქოს მრეწველობა	94

მრეწველობის საერთო პროდუქციის გამომშვების გეგმის შესრულებამ დარგობრივ სამმართველოებსა და სახალხო მეურნეობის საბჭოს ტრესტებში შეადგინა:

	1964 წლის ცხრა თვის გეგმის შესრულება პროცენტობით	1964 წ. ცხრა თვის პროცენტობით 1963 წ. შესაბამის პერიოდთან შედარებით
სახალხო მეურნეობის საბჭო	103	100,5
რუსთავის მეტალურგიული ქარხანა	105	107
ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხანა	99,6	99
ქიმიური მრეწველობის სამმართველო	97	115
მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველო	100,5	112
ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის სამმართველო	100,8	113
საშენი მასალების მრეწველობის სამმართველო	103	101
ხისდამამუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო	99,0	111
მსუბუქი მრეწველობის სამმართველო	100,9	97
საფეიქრო მრეწველობის სამმართველო	102	99,6
ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველო	97	93
ჰიათურის მარგანეცის ტრესტი	107	99
ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი	102	97
ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი	103	89
ახალციხის ქვანახშირის მაღაროსამმართველო	100,3	112
სამთამადნო მრეწველობის ტრესტი	109	115
საქართველოს ნავთობის ტრესტი	106	99,5
საქართველოს ჩაის ტრესტი	102	103
სამტრესტი	107	74
საქართველოს კონსერვის ტრესტი	119	109
საქართველოს პურისა და საკონდიტრო ნაწარმის ტრესტი	109	101
საქართველოს მაკარონეულ და ეთეროვანი ზეთების ტრესტი	103	108
საქართველოს თამბაქოს ტრესტი	105	94
საქართველოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტი	102	107
საქართველოს ტორფის ტრესტი	106	127
მხატვრული და საგალანტერეო ნაწარმის ტრესტი	103	108

რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა საერთო პროდუქციის წარმოების ცხრა თვის გეგმა შეასრულეს: სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ — 101 პროცენტით, მშენებლობის სამინისტრომ — 96 პროცენტით, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ — 106 პროცენტით, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ — 132 პროცენტით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ — 93 პროცენტით, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ — 115 პროცენტით, განათლების სამინისტრომ — 71 პროცენტით, კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ — 74 პროცენტით, კულტურის სამინისტრომ — 113 პროცენტით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარმა სამმართველომ — 101 პროცენტით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარმა სამმართველომ — 107 პროცენტით, რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ — 110 პროცენტით.

უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება გასული ცხრა თვის მანძილზე ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

მინერალური სასუქები — ათასი ტონა	330	111
თუჯი — ათასი ტონა	611	108
ფოლადი — ათასი ტონა	997	104
ნაგლინი — ათასი ტონა	752	104
ფოლადის მილები — ათასი ტონა	308	105
ალუმინი — ათასი ტონა	503	105
ქვანახშირი — ათასი ტონა	1967	95
ელექტროენერგია — მილიონი კილოვატსაათი	3821	126
ლითონსაჭრელი ჩარხი — ცალი	3409	101
სატვირთო ავტომობილი — ცალი	6632	99,2
სამაგისტრალო ელმავალი — ცალი	131	97
ქაღალდი — ათასი ტონა	27	104
ცემენტი — ათასი ტონა	958	101
მიფეური — მილიონი პირობითი ფილა	44	100,2
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქცია და დეტალი — ათასი კუბური მეტრი ნაკეთობა	433	112
ბამბის ქსოვილი — მილიონი კვადრატული მეტრი	33	101
შალის ქსოვილი — მილიონი კვადრატული მეტრი	4,1	80
აბრეშუმის ქსოვილი — მილიონი კვადრატული მეტრი	17	107
წიგნი — ათასი წყვილი	8589	133
ტრიკოტაჟის საცვლები — მილიონი ცალი	41,7	121
ზედა ტრიკოტაჟი — ათასი ცალი	3116	115
ტყავის ფეხსაცმელი — ათასი ცალი	8096	102
სარეცხი მანქანა — ათასი	37	145
ავეჯი — მილიონი მანეთი	16	100,6
ხორცი* — ათასი ტონა	15	92
ერბო-კარაქი* — ტონა	711	85
საკონდიტრო ნაწარმი — ათასი ტონა	16	112
კონსერვი — მილიონი პირობითი ქილა	114	162
ნატურალური ხარისხოვანი დაფასოებული ჩაი — ათასი ტონა	10	127
ყურძნის ღვინო* — ათასი დეკალიტრი	7049	102

ცხრა თვის გეგმის გადამეტებით წარმოებულია: თუჯი — 5 ათასი ტონა, ფოლადი — 16 ათასი ტონა, ნაგლინი — 22 ათასი ტონა, ფოლადის მილები — 11 ათასი ტონა, ქვანახშირი — 53 ათასი ტონა, ცემენტი — 26 ათასი ტონა, მიფეური — 2 მილიონი პირობითი ფილა, სასაცვლე და ზედა ტრიკოტაჟი — 464 ათასი ცალი და სხვა სახეობის ნაწარმი.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოებულია მეტი: ელექტროენერგია — 783 მილიონი კილოვატ-საათი, ლითონსაჭრელი ჩარხი — 40 ცალი, მინერალური სასუქები — 32 ათასი ტონა, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქცია და დეტალი — 47 ათასი კუბური მეტრი ნაკეთობა, აბრეშუმის ქსოვილი — 1,2 მილიონი კვადრატული მეტრი, წიგნი — 2,1 მილიონი ცალი, ტყავის ფეხსაცმელი — 173 ათასი წყვილი, კონსერვი — 43 მილიონი პირობითი ქილა, ყურძნის ღვინო — 120 ათასი დეკალიტრი და სხვა სახეობის სამრეწველო პროდუქცია.

წარმოების ზრდასთან ერთად ვერ შესრულდა მინერალური სასუქების, სინთეზური ამიაკის, ლითონსაჭრელი ჩარხების, ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების, წიგნის, ტყავის ფეხსაცმლის წარმოების გეგმა.

საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, სამშენებლო ორგანიზაციები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებანი ეწეოდნენ მუშაობას მეცხიერული კვლევის დარგში და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვისათვის.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოებში მიმდინარე წლის ცხრა თვის მანძილზე წარმოებულია 30 ათასზე მეტი წინადადება წარმოების გაუმჯობესებისა და სრულყოფის დარგში. ამ წლის მანძილზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაინერგა 8 ათასზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რაც იძლევა 12 მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას წელიწადზე გაანგარიშებით.

შრომის ნაყოფიერების გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 102 პროცენტით.

*) კოლმეურნეობების წარმოებისა და მოსახლეობის შინწარმოების გარდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ცნობა

კონტროლი მასობრივი, ყოველდღიური, ქმედითი

ვ. ი. ტუროვცევი,
სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის და მოსკოვის საბჭოს პარტიულ-საახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე

მასების კონტროლი სულ უფრო და უფრო შემტევი და აქტიური ხდება ჩვენი დიდი ცხოვრების ყველა უბანზე. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ახალმა ორგანოებმა თავიანთი არსებობის მოკლე ხნის მანძილზე მუშაობის შედეგად ვფიფსონ გამოცდილება შეიძინეს, რომელიც ყოველმხრივ გავრცელებისა და განსოგადების ღირსია.

სწორედ ამ მიზნით დღეს ვბეჭდავთ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნის, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის ვ. ტუროვცევის წერილს. იმედია, მოსკოვის სახალხო კონტროლიორთა ზოგიერთი გამოცდილება დაეხმარება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო კონტროლიორებს მომავალ მუშაობაში.

მოსკოვის სახალხო კონტროლიორებმა უკვე შეიძინეს ერთგვარი გამოცდილება. ზოგი რამ ისწავლეს კოლეგებისგანაც სხვა ქალაქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში. ახლის ყლორტები ყველგან შეიძლება ვიპოვნოთ. ჩვენ ვიყავით უკრაინაში, ბელორუსიაში, რუსეთის ფედერაციის მთელ რიგ ქალაქებში, ერთმანეთისაგან ვსწავლობდით მუშაობის მეთოდებსა და ფორმებს. ახლა კი მოხარული ვართ გამოცდილება გავუზიაროთ ამხანაგებს საქართველოში.

ჩვენი კომიტეტი წელიწადნახევარზე ნაკლები ხნის წინათ შეიქმნა. და თუმცა ეს მცირე ვადაა, მაგრამ უკვე ამოცმად შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა თავიანთი ადგილი მონახეს საბჭოთა ხალხის საერთო ბრძოლაში კომუნიზმის აშენებისათვის. ჩვენს მუშაობას საფუძველად უდევს ლენინური იდეა ერთიანი, ყოვლისმომცველი, მუდმივად მოქმედი კონტროლისა, რომელშიც ჩაბმული არიან მშრომელთა ფართო მასები.

განვლილ დროში მოსკოვის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა შექმნეს აქტივი, გამომიმუშავეს მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები, ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ვაბორაციულებდეთ ეფექტიან კონტროლს, ვიღებდეთ ქმედითი ღონისძიებებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

რა ძალებია ჩვენს განკარგულებაში? დედაქალაქში მოქმედებს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის 23 კომიტეტი. შექმნილია 245 შტატგარეშე განყოფილება და მუდმივი კომისია. მათში მუშაობს ორი ათას ხუთასზე მეტი შტატგარეშე ინსპექტორი და აქტივისტი. ისინი გვეხმარებიან იმაში, რომ დროულად და კვალიფიციურად ვამზადებდეთ საკითხებს, ორგანიზებულად ვატარებდეთ მოსახლეობის მიღებას კომიტეტებში, სწრაფად ვეხმაურებოდეთ შემოსულ სიგნალებს.

თვითეულ საწარმოში, თვითეულ მშენებლობაზე, სახელმწიფო დაწესებულებებში, სავაჭრო ორგანიზაციებში, სასწავლებლებში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში — ყველგან იგრძნობა სახალხო კონტროლიორთა თვალი — ფხიზელი და გამჭრიახი. ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად ფართოდ მონაწილეობენ მშრომელი მასები პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მუშაობაში, მოვიყვან რამდენიმე ციფრს. მოსკოვში შექმნილია 23 ათასამდე ხელმძღვანელი ჯგუფი და საგუშაგო, მათში შევიდა 111.500 მუშა, მოსამსახურე, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, მეცნიერების, კულტურის მოღვაწენი, პენსიონერები, დიასახლისები... ერთი სიტყვით, კონტროლი ნამდვილად სახალხოა, მას ყველა მშრომელი ახორციელებს. ინტერესს მოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ სახალხო კონტროლიორებს შორის 40 ათასამდე უპარტიოა.

ასე რომ ჩვენს განკარგულებაში დიდი ძალებია. და ვცდილობთ სწორად, საქმისადმი უფრო სასარგებლოდ გამოვიყენოთ ეს უდიდესი არმია. ჩავაბაო იგი ყველა ღონისძიებაში, რომლებსაც კომიტეტები და ხელმძღვანელობა ჯგუფები ახორციელებენ.

ჩვენს მუშაობაში მთავარი მიმართულებაა პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების სისტემატური შემოწმების მოწყობა. მუდმივი კონტროლი სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულებისადმი. არაფერი არ არის ამაზე. უფრო მნიშვნელოვანი. ჩვენ მიზნად დაკისახეთ ვიმუშაოთ ძირეულ პრობლემებზე. რომლებზეც დამოკიდებულია საქმის წარმატება. არ დავკარგოთ ძალები, არ გადავყვეთ წვრილმანებს, არამედ ყურადღება მივაპყროთ მთავარს — ამას გვასწავლის პარტია.

თავიანთი პირველი ნაბიჯებიდანვე კომიტეტებმა, ხელმძღვანელობა ჯგუფებმა და საგუშაგოებმა კონტროლი დაიწყეს შენებლობისა და რეკონსტრუქციის უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე. ცდილობენ მიაღწიონ პროდუქციის წარმოების გადიდებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებას. წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას. ამა თუ იმ საკითხის შემოწმებისა და განხილვის მსვლელობაში დიდი ყურადღება ექცევა შეცდომების თავიდან აცილებას. საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევას.

მრავალი მაგალითიდან მოვიყვან ერთს. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა გადაწყვიტა შეიმოწმებინა, როგორ მიმდინარეობს მოსკოვის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის რეკონსტრუქცია. ადგილზე ღრმად შევისწავლეთ საქმის ვითარება. კონტროლიორებმა გამოავლინეს სერიოზული ნაკლოვანებანი. ამ ნაკლოვანებებს ანალიზი რომ გაუკეთეს, მათ მიზეზებში რომ გაერკვნენ, წინადადება წამოაყენეს ქარხნის რეკონსტრუქციის საკითხი კომიტეტის სხდომაზე განხილულიყო. რეკომენდაციებმა, რომლებიც განხილვის მსელელობაში და მიღებულ გადაწყვეტილებაში გამოითქვა, ხელი შეუწყო იმას, რომ დაჩქარებულიყო დიზელის საწვავის ჰიდროგაწმენდის კომპლექსური დანადგარისა და საავტომობილო ბენზინის მეორადი გადამუშავების დანადგარის ამოქმედება.

აი მეორე მაგალითი. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კიევის რაიონულმა კომიტეტმა შეამოწმა, როგორ მიმდინარეობს მოსკოვის მილის ქარხნის რეკონსტრუქცია. აქაც გამოვლინებულ იქნა სერიოზული შეცდომები. კომიტეტმა ოპერატიული ღონისძიებები მიიღო. ამის შედეგად დამთავრდა ორი ძლავრი ქვაბის მონტაჟი და ისინი სანქსლოთაბეციოდ გადაეცა, დამთავრდა გრძივი ბრის აგრეგატის მონტაჟი და გაწეულ იქნა სხვა მუშაობა, რამაც შესაძლებელი გახადა საწარმოს რეკონსტრუქციის დაჩქარება.

ყველგან, სადაც პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტებმა შეამოწმეს და განხილეს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა, ძვრები ჩანს. შეიძლება სრული დარწმუნებით ითქვას: თუ კონტროლიორები საქმეს ორგანიზებულად და მწყობრად მკიდებენ ხელს, ისინი ბევრი რამის მიღწევას ახერხებენ.

შემდგომშიც ჩვენ მტკიცედ ვეცდებით მივაღწიოთ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას. არ უნდა გვეშნოდეს, თუ მოგვიხდება კვლავ და კვლავ შეგვამოწმოთ, როგორ სრულდება ესა თუ ის დადგენილება, როგორ ხორციელდება დასახული ღონისძიებანი.

ჩვენი ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანა ის არის, რომ გზა გავუკაფოთ ყოველივე ახალს, პროგრესულს, მოწინავეს. ამ საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტებიც და ხელმძღვანელობა ჯგუფები და საგუშაგოებიც. მაგალითად, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ფაბრიკის რაიონულმა კომიტეტმა ხელმძღვანელობა ჯგუფებთან და საგუშაგოებთან ერთად შეიმუშავა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია უზრუნველყოფილ იქნას მუდმივი კონტროლი იმისადმი, რომ კონსტრუქტორთა, ინჟინერთა და მუშა-რაციონალიზატორთა წინადადებები წარმოებაში ინერგებოდეს. ისეთ საწარმოებში ხელმძღვანელობა ჯგუფებისა და საგუშაგოების მონაწილეობით, როგორიც არის საათის 1-ლი ქარხანა, სალტის ქარხანა, „სტანკოლინი“ და ბევრი სხვა, რაიონში დანერგა რვა ავტომატური და 55 ნაკადურ-მექანიზებული ხაზი, დაიდგა საძი ათასზე მეტი ერთეული მაღალი წარმადობის ახალი მოწყობილობა.

როგორც დღემდე, ჩვენს საქმიანობაში დიდ ადგილს დაიკავებს ბრძოლა სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებთან, უყაირათობასა და მფლანგველობასთან. მუშაობა შინაგანი რესურსების გამოსავლინებლად. ძვირფასი ინიციატივით — ვიბრძოლოთ არასაწარმოო ხარჯების შემცირებისათვის და წუნით გამოწვეული დანაკარგების წინააღმდეგ — გამოვიდნენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები ისეთ ქარხნებში, როგორიც არის „კრასნი ბოგატირი“, „მიკომომშინა“, „სანგგიფენა“, ციფრუპას სახელობისა, წინაქვილ-კომბინატი. ამ საწარმოთა პარტიულმა ორგანიზაციებმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა მხარი დაუჭირეს ხელშემწყობი ჯგუფების ინიციატივას და შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებანი. ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად არასაწარმოო ხარჯები და წუნით გამოწვეული დანაკარგები ამ ქარხნებში 1964 წელს წინასწარი გაანგარიშებით 90 ათასი მანეთით შემცირდება.

მე დავასახელე მხოლოდ ზოგიერთი საკითხი, რომლებზეც ჩვენი სახალხო კონტროლიორები მუშაობენ. რა თქმა უნდა, დიდ ყურადღებას ვუთმობთ ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებსაც, როგორიც არის მოსკოველთა საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურება, საცხოვრებელი ფონდის რემონტის ხარისხის ამაღლება და მის ექსპლოატაციაში, საცხოვრებელი ფართობის განაწილებაში ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია, დედაქალაქის თვითეული მცხოვრებისათვის იმ გრძნობის ჩანერგვა, რომ იგი სახალხო დოვლათის პატრონია...

მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი სახალხო კონტროლიორები ყოველდღიურად გრძნობენ თავიანთ მუშაობაში პარტიულ ხელმძღვანელობას. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები მზრუნველობით და მოთმინებით ასწავლიან პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებში მოსულ კადრებს, წარმართავენ მათს საქმიანობას.

ყურადღების ღირსია მუშაობის ზოგიერთი ფორმა, რომელებმაც თავისი დანიშნულება გაამართლა მოსკოვში. ერთ-ერთი მათგანია თემატური შემოწმებანი. ყველა რაიონულმა და დარგობრივმა კომიტეტმა გამოცდილება რომ შეიძინოს შემოწმებათა მოწყობაში, თვითეულმა ჩვენგანმა ერთი ძირითადი საკითხი აირჩია. მაგალითად, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ბაუმანის რაიონული კომიტეტი ეწევა იმის შესწავლას, თუ როგორ მივაღწიოთ სახელმწიფო დაწესებულებებში მიწერ-მოწერისა და სამოვლინებო ხარჯების შემცირებას, ძერჟინსკისა — აწყობს რკინიგზა-ლიბატორულ წინადადებათა და ბიბ-გონებათა წარმოებაში დანერგვის დაჩქარებისათვის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობას, ლენინგრადის — ელექტროენერგიის ეფექტურად ხარჯვისადმი კონტროლის ორგანიზაციის მეთოდიკას, კალინინისა — ანალიზს უკეთებს და განაზოგადებს არარენტაბელურ წარმოებათა ლიკვიდაციისათვის მუშაობის გამოცდილებას, პროლეტარული — სწავლობს მცირე ღირებულებისა და ინვენტარის გამოყენების გაუმჯობესების გამოცდილებას, სვერდლოვსკისა — ხელშემწყობ ჯგუფებთან და საგუშაგოთან ერთად ამუშავებს ღონისძიებებს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისთვის, ბოლო ფრაზაზეა — წყვეტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო აპარატის სტრუქტურის სრულყოფასთან და მის შემცირებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ხდება მათი წინადადებებისა და ღონისძიებების განზოგადება, და შემდეგში ისინი სასარგებლო აღმოჩნდებიან ხოლმე დედაქალაქის ყველა რაიონისათვის.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს დიდი ხარგებლობა მოუტანა შემოწმებათა არა მარტო მასობრიობამ, არამედ მათმა ფართო საპრაქტიკო-მაც. მომავალ შემოწმებათა შესახებ ცნობას ვაწვდით მშრომელებს, რისთვისაც ვიყენებთ აფიშებს, პრესას, რადიოს, ტელევიზიას. და ხალხი გვეხმარება, პრაქტიკაში შემოღებული გვაქვს სახალხო კონტროლის ორგანოების სისტემატური ანგარიშგება მშრომელების წინაშე. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები თვითანი მუშაობის შესახებ ანგარიშს ვაბარებენ პარტიულ, პროფკავშირულ, საერთო-საქარხნო კრებებზე, ისნენენ მშრომელთა განაწესებს, მათს რჩევასა და სურვილებს. ასე ხორციელდება პრაქტიკაში კონტროლის მასობრიობის ლენინური პრინციპი.

შესაძლოა, ჩვენი გამოცდილება არცთუ დიდი იყოს, მაგრამ მოხარული ვიქნებით, თუ იგი სასარგებლო აღმოჩნდება მოძმე საქართველოს სახალხო კონტროლიორთა პრაქტიკულ მუშაობაში.

ᲕᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝ-ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲖᲔ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲔᲜ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ — ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲝᲗᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲐᲦᲪᲘᲓᲐ, ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲗᲘᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲙᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕ

სსრ კავშირი მშვიდობის მედროშეა

საზღვარგარეთის პრესა მოსკოვში გამართული მიტინგის შესახებ

საზღვარგარეთის პრესა, რადიო და ტელევიზია განაგრძობს მოსკოვში გამართული მიტინგისა და კრემლში გამართული დარბაზობის შესახებ. ბეჭდავენ ლ. ი. ბრეჟნევის და ა. ნ. კოსიგინის სიტყვების დაწვრილებითს შინაარსს.

კუბის პრესა გამოსყოფს საბჭოთა ხელმძღვანელების გამოსვლების იმ ადგილებს, სადაც ნათქვამია, რომ სსრ კავშირი განაგრძობს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, რომელსაც საფუძვლად უდევს მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპები, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთობის განმტკიცების პოლიტიკას.

ვაშინგტონი. „საბჭოთა ხელმძღვანელები აცხადებენ: „მთავარი მიზანია მშვიდობა". გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" პირველ გვერდზე ასეთი სათაურით ბეჭდავს ცნობას ლ. ი. ბრეჟნევისა და ა. ნ. კოსიგინის გამოსვლების შესახებ. გაზეთს მოჰყავს განცხადება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის საფუძველია „სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპები".

ბონი. „ბრეჟნევი: „ჩვენ ვიბრძოლეთ ევროპული უსაფრთხოებისა და თანამშრომლობისთვის" — ასეთია „ფრანკფურტერ ალგემაინ ცეიტუნგის" ცნობა ლ. ი. ბრეჟნევის ბერლინში ყოფნის შესახებ.

ბელგრადი. „ტიტოს ბერლინში ყოფნა" — ასეთია „ფრანკფურტერ ალგემაინ ცეიტუნგის" ცნობა

გაშლილ ზღვაში

პატარა, მაგრამ კოხტა ქალაქია ფოთი. მწვანეში ჩაფლულ კოლხიდის უძველეს ქალაქს ოთხივე მხრივ აკრავს მდინარეები, ტბა და შავი ზღვა. ამიტომ იგი ქალაქ-კუნძულად არის ცნობილი.

უძველესი დროიდან მისდევდნენ ფოთელები მეთევზეობას. ჯერ კიდევ 1929 წელს ჩამოყალიბდა ფოთში მეთევზეთა კოლმეურნეობა „კოლხიდა". მაშინ ეს განუვითარებელი. სასოფლო-სამეურნეო არტელი იყო, რომელიც ძირითადად გემებს" პასიური თევზჭერით ასრულებდა.

ახლა მეთევზეთა კოლმეურნეობაში 640 კომლია გაერთიანებული. 15 ეროვნების წარმომადგენლები ერთსულოვნად შრომობენ. ომისშემდგომ წლებში კოლმეურნეობა შეიძინა კატარღებით, მოტოკარჭაებით, მოტოფელუგებით. 2 საშუალო ტიპის თევზსაჭერი სეინერი.

სად არ ნახავთ ფოთელ მეთევზეებს — ფოთიდან ოდესამდე იჭერენ თევზს და ნადავლით დატვირთულნი ბრუნდებიან.

მაგრამ მათ მაინც ფოთის კეფალის ბერი იზიდავთ. იგი პალესტინში ბინადრობს. ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეუწირავს ამ შფოთიან ტბას. მაგრამ ეს იყო წინათ. ახლა ფოთელმა მეთევზეებმა მოძრაკეს იგი. თევზჭერა აქ უფრო მეტად გვიან ღამით ხდება.

თვალს ხიბლავს, გულს ახარებს, როცა ფოთიდან გაშლილ ზღვაში სათევზაოდ გადიან სეინერები. თვითეულ მათგანს 12 კაცი ემსახურება. მათ შორის გადამწყვეტი მაინც რადისტია. იგი მეთევზეებს გადასცემს ჯგუფად მცურავი თევზების ადგილმდებარეობას, და მკვირცხლი, კუნთოვანი მეთევზეებიც წუთში შლიან ბადეებს.

სეიერ № 114-ის კაპიტანი გასილ ვასკოვი, ბრიგადირი სერგო ყეყელია და რადისტი ვახტანგ ცოფი ამას წინათ ქერჩიდან ფოთში დაბრუნდნენ ასსახარულო ცნობით — მათ წლიური გეგმა 9 თვეში დიდი გადაჭარბებით შესრულეს. არ გასულა დიდი დრო, რომ კოლმეურნეობის ნავსაყუდელს მეორე სეიერი № 127 მოადგა. სეიერის კაპიტანმა ალექსანდრე ბებიამ, ბრიგადირმა გეგმაში მოტოვმა და რადისტმა ომარ ნოდიამ წლიური გეგმის შესრულება უმატეს. 4.500 ცენტნერი თევზსა. ნაცვლად სეიერის კოლეტივმა 9 ათასი ცენტნერზე მეტი თევზი დაიჭირა.

დავინტერესდით ამ მიღწევებით და გეგმების შესრულებაზე ჩამოვუგდეთ საუბარი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შუქურ გუნიას. სიტყვაძუნწი გამოდგა თავმჯდომარე. კოლმეურნეობის მიღწევებზე ბევრის თქმა არ უნდოდა, მაგრამ როცა მონაცემები მოვთხოვეთ, ისინი ალაპარაკდნენ მიღწევებზე.

ფოთელი მეთევზეები გამოეხმაურნენ ზორეული აღმოსავლეთის მეთევზეთა მოწოდებას — 1964 წელს შეასრულონ წლიანი ბევრის გეგმა. კოლმეურნეობის ყველა წევრი დაირაზმა ნაკლისი გალღეებლების პირნათლად შესრულებისათვის.

წლიური გეგმით ფოთელ მეთევზეებს 9.750 ცენტნერი თევზი უნდა დაეჭირათ. 30 სექტემბრისათვის უკვე დაჭერილი და ჩაბარებული იყო 18.745 ცენტნერი. ეს ნავისი გალღეებულებას 3.745 ცენტნერით აღემატება.

წლიური გეგმის შესრულებაში კოლმეურნეობის ბეგრმა ბრიგადამ, რგოლმა და მეთევზემ გამოიჩინა თავი. მეთევზეები ვ. ჯღამაია, ჰ. ქირია, ბ. ჯანტერია, კ. ხოროვი, ს. წულაია, ა. მიშკო, ვ. მოჩალოვი, ძმები ამირან და გიგუმა გაბელიები, კ. ბერაია, ტ. ზარანდია, ფ. მეკვაბიშვილი, ბ. მიქავა, შ. გულიევი და სხვები. შვიდწლედის ბრიგადა 5 წელიწადსა და 9 თვეში გადაჭარბებით შეასრულეს.

კოლმეურნეობამ პალესტინის საწყალობლად აიშენა ორსართულიანი კლუბ-კინტორა. ყველა ბრიგადაში მოძრავი ბიბლიოთეკებია მოწყობილი. ზღვისა და ტბის ტალღებთან შეეპოვარი ბრიოლის შემდეგ ფოთელი მეთევზეები კულტურულად ისვენებენ.

გ. ნოდია.

„კომუნისტის" საკ. კორ.

სურათებზე: (მარცხნივ) კოლმეურნეობის გამჯობის თავმჯდომარე ვ. გ. ყუნია (ცენტრში), ბრიგადირი ი. ალზმანოვი და მეთევზე ა. ფაჩულია ამოწმებენ ნადავლს; (მარჯვნივ) კოლმეურნეობის სეინერი გადის გაშლილ ზღვაში თევზის საჭერად.

ფოტო ბ. გავრილენკოსი.



„ დინამო" თბილისი — „ტორპედო" (მოსკოვი) 3:1

გუშინდელი მატჩი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის ორ ლიდერს შორის ოქროს მედლებისათვის ბრძოლის კულმინაციურ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს.

მიმდინარე სეზონში ჩვენს მაყურებელს ძალიან ხშირად როდი უნახავს კარგი ფეხბურთი. მაგრამ სწორედ ამ ორმა გუნდმა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ჩატარებულ მეტ წილ მატჩებში თავი გამოიჩინეს, როგორც კარგად აწყობილმა ანსამბლებმა.

მოსკოვის „ტორპედო" და თბილისის „დინამო" ასეთი გუნდებად მიმაჩნია, რომლებმაც ტაქტიკური გარდაქმნის მსვლელობაში მონახეს ბრძოლის წარმოების ყველაზე საიმედო ფორმები და სასუალებები, რომლებიც შეეხამება მათი მოთამაშეების შესაძლებლობებს.

მოსკოველებში — ვ. ივანოვი, ვ. ეორონინი, ვ. შუსტიკოვი, ბ. ბატანოვი, ვ. სოლოვიოვი, ო. ხერგეევი, ხოლო თბილისელებში — შ. იამანიძე, გ. სიჭინავა, ვ. ბარქაია, ს. მეტრეველი, ჰ. მესხი. ი. დათუნაშვილი იყვნენ შეესრულებლები, რომლებიც კარგად შეეგუნენ ახალ ტაქტიკურ ვარიანტს, რომ იგი ფორმით მკვლარ საქმედ კი არ დატოვებინათ, არამედ ეს შეეტანოთ ცოცხალი შემოქმედებითი ინიციატივით, როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ მოქმედებაში.

ამრიგად, გუშინდელი მოწინააღმდეგეების ტექნიკურ თვისებათა, ხოლო ამის გამო ტაქტიკურ შესაძლებლობათა თანასწორობა აძნელებდა პასუხს კითხვაზე — ვინ გამოვიდოდა გამარჯვებული. ვინ გადადგამდა კიდევ ერთ ნაბიჯს წინ ჩემპიონის წოდებისა და ოქროს მედლებისაკენ?

„ დინამო" თბილისი — „ტორპედო" (მოსკოვი) 3:1

გუშინდელი მატჩი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის ორ ლიდერს შორის ოქროს მედლებისათვის ბრძოლის კულმინაციურ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს.

მიმდინარე სეზონში ჩვენს მაყურებელს ძალიან ხშირად როდი უნახავს კარგი ფეხბურთი. მაგრამ სწორედ ამ ორმა გუნდმა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ჩატარებულ მეტ წილ მატჩებში თავი გამოიჩინეს, როგორც კარგად აწყობილმა ანსამბლებმა.

მოსკოვის „ტორპედო" და თბილისის „დინამო" ასეთი გუნდებად მიმაჩნია, რომლებმაც ტაქტიკური გარდაქმნის მსვლელობაში მონახეს ბრძოლის წარმოების ყველაზე საიმედო ფორმები და სასუალებები, რომლებიც შეეხამება მათი მოთამაშეების შესაძლებლობებს.

მოსკოველებში — ვ. ივანოვი, ვ. ეორონინი, ვ. შუსტიკოვი, ბ. ბატანოვი, ვ. სოლოვიოვი, ო. ხერგეევი, ხოლო თბილისელებში — შ. იამანიძე, გ. სიჭინავა, ვ. ბარქაია, ს. მეტრეველი, ჰ. მესხი. ი. დათუნაშვილი იყვნენ შეესრულებლები, რომლებიც კარგად შეეგუნენ ახალ ტაქტიკურ ვარიანტს, რომ იგი ფორმით მკვლარ საქმედ კი არ დატოვებინათ, არამედ ეს შეეტანოთ ცოცხალი შემოქმედებითი ინიციატივით, როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ მოქმედებაში.

ამრიგად, გუშინდელი მოწინააღმდეგეების ტექნიკურ თვისებათა, ხოლო ამის გამო ტაქტიკურ შესაძლებლობათა თანასწორობა აძნელებდა პასუხს კითხვაზე — ვინ გამოვიდოდა გამარჯვებული. ვინ გადადგამდა კიდევ ერთ ნაბიჯს წინ ჩემპიონის წოდებისა და ოქროს მედლებისაკენ?

ნაბიჯი ოქროს მედლებისაკენ

უნდა გამოვტყდეთ, რომ მატჩამდე ამ კითხვაზე მე თვითონ ჩემი თავისათვის პასუხი ვერ მომეცა. მით უმეტეს, რომ თბილისელთა საკუთარი მოედნის უპირატესობა კრმპენსირებული იყო ტორპედოელთა ერთი ზედმეტი ქულით.

ასეთი იყო მატჩისწინა ვითარება.

მაგრამ მოვყევი მოედანზე მომხდარ ამბებს და აღვნიშნოთ ისეთები, რომლებიც, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.

საკავშირო კატეგორიის მსაჯის პ. ბელოვის (ლენინგრადი) სასტვენის ხმაზე გუნდები მოედანზე გამოვიდნენ ჭაბრძოლო შემადგენლობებით. „ტორპედო" — კავაზაშვილი, ანდრეიუკი, მეშჩერიაკოვი, შუსტიკოვი, სარაევი, ეორონინი, ბატანოვი, სოლოვიოვი, ივანოვი, შჩერბაკოვი, სერგეევი, „დინამო" — ყოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, მეტრეველი, მესხი.

მატჩი ტემპიანად დაიწყო. მოწინააღმდეგეთა ნერვიულობა იგრძნობა ბეგრ ადამიანს. ეს ბევრ ადგილზე ეტყობოდა ეფექტურ ფეხბურთს. ბანჯგლისწყვრა დათოვლილი მწვერვალები ღრუბლების თეთრ ქულებში უჩინარდებიან. თვალჩაუწვდენი უფსკრულები, ურჩხულის ხახასავით დაფჩენილი ნაპრალები, მთის მდინარეები, გაავებული რომ ეხეთქებიან ლოდებს — აქ ყველაფერი მოგაგონებს, რომ ფხიზლად უნდა იყო.

ალბათ ბევრს გსმენიათ გასული წლის ზაფხულში მომხდარი კატასტროფის ამბავი, რაც ალპურ ტბა ისიკთან იყო დაკავშირებული. გამანადგურებელმა ლავა მდინარემ გზა გადაეღობა მაღალ მთებში ტაკუნუს ეროვნული ოტტის ვიქტორ ალექსეევის მაშველი ჯგუფი მაშინვე გაეშურა მათ დასახმარებლად.

— მე გამაფრთხილეს, რომ ზემო ისიკის ხეობაში გავალ, სადაც ადრე ვიწრო ბილიკი მიიკლაკნებოდა, შეუძლებელია, — იგონებს ალექსეევი, — აქ ტალახის ღრმა ჭაობი გაჩნდა. მაუხედავად ამისა, გადავწყვიტეთ გავსულიყავით. ტესკუნუშიდე მისვლას ათ საათს მოვუნდით. ტალახი ზოგიერთ ადგილზე წვეოვანი იყო. და ჩვენი ჯგუფის მეწინავე ბეგრჯერ გაიმოტა ალმართზე.

ალექსეევი, რომელმაც მაშინ შეძლო ტურისტების ხაფანგიდან გამოყვანა, ამბობ თავშეკავებულად და სიტყვაუნუნად ქყვება. უკვე სამი წელია იგი ტიან-შანზე ამიერილის პუნქტის უფროსად მუშაობს. მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა მაშველ ექსპედიციებში. ალექსეევი მთებში მრავალი წლის წინათ გაიტაცა. ხან-ტენგრის მწვერვალზე ჯერ კიდევ ომამდე ავიდა. ახალგაზრდა სპორტსმენისათვის ეს ჩინებული სკოლა აღმოჩნდა. შვიდი ათასი მეტრი სიმაღლის ხან-ტენგრის პიკის დაპყრობა ყოველთვის როდია მისაწვდომი გამოცდილი ალპინისტებისთვისაც კი. ახლა ვიქტორ ალექსეევისათვის ჩვენი ქვეყნის ყველა მწვერვალი ცნობილია. იგი მხოლოდ კარპატებში არ ყოფილა.

ამიერილის საკონტროლო პუნქტი ვეებერთელა ტერიტორიას მოიცავს. მისი შემოგარენი ტალასკისა და მერიდიონალურის მწვერვალებამდე გრძელდება. აქ ბევრი ტურისტული და ალპური ბანაკია. ამიერილის ალა-ტაუს ღრუბლებზედა მარშრუტები დიდი პოპულარობით სარგებლობს. ჩვენი ქვეყნის ამოცანები დაისახა მასპინძელთა მცველების წინაშე. ბ. სიჭინავას უნდა შეეკავებინა სერგეევი, ზეინკლიშვილს — ივანოვი, რეხვიაშვილს — შჩერბაკოვი, ხოლო ცხოვრებოვს — სოლოვიოვი. დასასრულ, არანაკლებ მნიშვნელოვანი და ძნელი როლი ეკისრებოდა ნახევარმცველთა ორ დუეტს — ეორონინ-იამანიძისა და ბატანოვ-გ. სიჭინავას. მოედნის ცენტრის სწორედ ეს ოთხკუთხედი ბეგრად განსაზღვრავდა ბრძოლის მიმდინარეობას. უპირატესობას ინიციატივაში, მოწინააღმდეგის კარზე იერიშების სიმწვავეს.

თავიდანვე უნდა ვთქვათ: ყველაზე მეტ უპირატესობას „თავის მოწინააღმდეგზე" მიაღწია ბ. სიჭინავამ. ბატანოვის ფიზიკურმა მოუმზადებლობამ თამაშის პირველი წუთებიდანვე იჩინა თავი. სიჭინავა ოსტატურად იყენებდა თავის უპირატესობას, ბაღდადელად აწყობდა და ავითარებდა იერიშებს ტორპედოელთა კარზე. მაგრამ თამაში დიდხანს ორმხრივი კონტროლიშებით მიმდინარეობდა და მატერიალური წარმატება არ მოჰკონდა არც ერთი გუნდისათვის.

მეცამეტე წუთზე კუთხურის ჩაწოდების შემდეგ „ტორპედოს" კართან მეტად ამოცანები დაისახა მასპინძელთა მცველების წინაშე. ბ. სიჭინავას უნდა შეეკავებინა სერგეევი, ზეინკლიშვილს — ივანოვი, რეხვიაშვილს — შჩერბაკოვი, ხოლო ცხოვრებოვს — სოლოვიოვი. დასასრულ, არანაკლებ მნიშვნელოვანი და ძნელი როლი ეკისრებოდა ნახევარმცველთა ორ დუეტს — ეორონინ-იამანიძისა და ბატანოვ-გ. სიჭინავას. მოედნის ცენტრის სწორედ ეს ოთხკუთხედი ბეგრად განსაზღვრავდა ბრძოლის მიმდინარეობას. უპირატესობას ინიციატივაში, მოწინააღმდეგის კარზე იერიშების სიმწვავეს.

თავიდანვე უნდა ვთქვათ: ყველაზე მეტ უპირატესობას „თავის მოწინააღმდეგზე" მიაღწია ბ. სიჭინავამ. ბატანოვის ფიზიკურმა მოუმზადებლობამ თამაშის პირველი წუთებიდანვე იჩინა თავი. სიჭინავა ოსტატურად იყენებდა თავის უპირატესობას, ბაღდადელად აწყობდა და ავითარებდა იერიშებს ტორპედოელთა კარზე. მაგრამ თამაში დიდხანს ორმხრივი კონტროლიშებით მიმდინარეობდა და მატერიალური წარმატება არ მოჰკონდა არც ერთი გუნდისათვის.

მეცამეტე წუთზე კუთხურის ჩაწოდების შემდეგ „ტორპედოს" კართან მეტად

მატჩის შემდეგ

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ორივე გუნდის მწვრთნელებს: ვ. მარიენკოსა და გ. კაჩალინს, აგრეთვე მთავარ მსაჯს ბ. ბელოვს.

აი, რა გვამბეს მათ.

ვ. მარიენკო,
„ტორპედოს" უფროსი მწვრთნელი

ვფიქრობ თამაში დაახლოებით თანაბარი იყო. პირველ ტაიმში ჩვენ წარმატების შესაძლებლობაც კი გვქონდა. გუნდის ზოგიერთმა მოთამაშემ, პირველ რიგში ბატანოვმა ვერ შეასრულა დავალება. უხეში შეცდომები დაუშვეს მცველებმა, მეკარემ. მესამე ბურთი, რომელმაც ფაქტურად გატეხა ჩვენი წინააღმდეგობა, მეკარის სინდისზეა.

დინამოელებმა კარგი თამამი აჩვენეს. პირველ რიგში მომიწონა მათი კაპიტანი იამანიძე, თავდასხმელებიდან, — პირველ რიგში ბარქაია.

ბ. კაჩალინი,
„დინამოს" უფროსი მწვრთნელი

თუ არ ვცდები, ტორპედოელთა ბრძოლა ტაქტიკა დაცვის ვარიანტს ეყრდნობოდა. მესხის გოლმა ტორპედოელთა თამაშში ძირფესვიანი ბარდატება მოახდინა. ისინი იძულებული იყვნენ გაეშალათ ბრძოლა, და ჩვენც სწორედ ეს გვინდოდა.

მას შემდეგ, რაც მეტოქემ ანგარიში გაათანაბრა, მთავარი იყო მეორე გოლი. სწორედ ამ ბურთმა გადაწყვიტა მატჩის ბედი. ჩვენი ტაქტიკა თავიდან ბოლომდე აგებული იყო შეგტეგ თამაშზე. კმაყოფილი ვარ შედეგით. ყველა თამაშობდა ჩინებულად.

ვ. ბელოვი,
მატჩის არბიტრი

მძიმე, ნერვიული იყო თამაში და აქ არაფერია გასაკვირველი. ალბათ (გაინტერესებთ, თუ რატომ არ ჩვეთვალე პირველი ბურთი. ჩემს თანაშემწეს ალამი ამოღართული ჰქონდა და მეც უნდა დავთანხმებოდი. მეორე ტაიმში არც ერთი მსაჯი არ მისცემდა თერთმეტმეტრიან საჯარიმოს, რაშიც ალბათ მართალს მდებენ.

თერთმეტი ხუთიანი

როცა მატჩის ოქმი საბოლოოდ გაფორმეს თერთმეტსავე დინამოელის გვარს ამშვენებდა ხუთიანები. აი, რა ნიშნები მიიღეს ტორპედოელებმა: კავაზაშვილი — 2, ანდრეიუკი — 3, შუსტიკოვი — 2, სარაევი — 4, ეორონინი — 4, მეშჩერიაკოვი — 4, სოლოვიოვი — 3, ივანოვი — 4, შჩერბაკოვი — 2, ბატანოვი — 2, სერგეევი — 3, სიდოროვი — 3.



გათამაშების ცხრილი

„ბ" კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 28 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო" (მ.)	29	17	7	5	48—18	41
„დინამო" (თბ.)	28	16	8	4	41—27	40
ცსკა	28	14	9	5	41—19	37
სკა (როსტ.)	30	15	5	10	38—27	35
„დინამო" (კ.)	28	10	13	5	40—26	33
„შახტიორი" (დ.)	29	12	9	8	31—25	33
„დინამო" (მნ.)	30	7	17	6	22—16	31
„სპარტაკი" (მ.)	30	12	7	11	33—28	31
„დინამო" (მ.)	28	10	10	8	29—23	30
„კრ. სოვ." (კუიბ.)	30	6	14	10	20—33	26
„ვოლგა" (გ.)	29	7	12	10	17—32	26
„ზენიტი" (ლ.)	30	8	8	14	26—35	24
„ტორპედო" (ქ.)	29	9	6	14	17—34	24
„ქაირატი" (ალმ.)	28	7	8	13	21—25	22
„ნეფტიანიკი" (ბ.)	29	6	10	13	21—29	22
„შინნიკი" (იარ.)	29	6	9	14	18—39	21
„მოლდოვა" (კიშ.)	28	6	4	18	13—40	16

განგაში მთებში

ტეიკუსუ? — მე ედელვეისი ვარ. როგორ გეამინთ ჩემი? გაცნობებთ, როგორი იქნება ამინდი ამ კვირის მანძილზე...

ერთი წუთის შემდეგ საკონტროლო-მაშველი პუნქტის უფროსმა რადიოტმა ნიკოლოზ რეზნიკინმა რაცია სხვა ტალღაზე გადართო. ახლა ის ალპინისტურ ბანაკ „ტალგარს" უნდა დაჭკავშირებოდა ალმა-ატის აღმოსავლეთით, შუა ტალგარის ხეობაში. ნიკოლოზმა იცოდა, რომ სამი დღის წინათ მიხეილ ლევინის ალპინისტთა ჯგუფი ბანაკიდან გავიდა და მთავარი ტალგარის მწვერვალზე დასავლეთი კედლით დაიწყო ასვლა. ეს ურთულესი მარშრუტი იყო, და საკონტროლო პუნქტი ყურადღებით აფვენებდა თვალს ლევინის ჯგუფს.

ასე დაიწყო იმიერილის საკონტროლო-მაშველ პუნქტში ჩვეულებრივი სექტემბრის დღე. ამ დღეს მე ბევრი რამ შევიტყვე მაშველი სამსახურის ალპინისტებზე.

ძნელია მოიძებნოს მათზე უფრო მამაცი და თავგანწირული ადამიანები. მათ არავითარი დაბრკოლება არ აშინებთ. როგორც კი მთებში გაგაგზავნის პირველი სიგნალი გაისმის, ისინი ჯარისკაცებივით თავგანწირულად მდიან თავიანთი სამსახურის შესასრულებლად.

განგაშია მთებში...

ვინც ოდესმე იმიერილის ალა-ტაუში ყოფილა, მათ კარგად იციან, თუ რას ნიშნავს ეს. ბანჯგლისწყვრა დათოვლილი მწვერვალები ღრუბლების თეთრ ქულებში უჩინარდებიან. თვალჩაუწვდენი უფსკრულები, ურჩხულის ხახასავით დაფჩენილი ნაპრალები, მთის მდინარეები, გაავებული რომ ეხეთქებიან ლოდებს — აქ ყველაფერი მოგაგონებს, რომ ფხიზლად უნდა იყო.

ალბათ ბევრს გსმენიათ გასული წლის ზაფხულში მომხდარი კატასტროფის ამბავი, რაც ალპურ ტბა ისიკთან იყო დაკავშირებული. გამანადგურებელმა ლავა მდინარემ გზა გადაეღობა მაღალ მთებში ტაკუნუსუს ეროვნული ოტტის ვიქტორ ალექსეევის მაშველი ჯგუფი მაშინვე გაეშურა მათ დასახმარებლად.

— მე გამაფრთხილეს, რომ ზემო ისიკის ხეობაში გავალ, სადაც ადრე ვიწრო ბილიკი მიიკლაკნებოდა, შეუძლებელია, — იგონებს ალექსეევი, — აქ ტალახის ღრმა ჭაობი გაჩნდა. მაუხედავად ამისა, გადავწყვიტეთ გავსულიყავით. ტესკუნუშიდე მისვლას ათ საათს მოვუნდით. ტალახი ზოგიერთ ადგილზე წვეოვანი იყო. და ჩვენი ჯგუფის მეწინავე ბეგრჯერ გაიმოტა ალმართზე.

ალექსეევი, რომელმაც მაშინ შეძლო ტურისტების ხაფანგიდან გამოყვანა, ამბობ თავშეკავებულად და სიტყვაუნუნად ქყვება. უკვე სამი წელია იგი ტიან-შანზე ამიერილის პუნქტის უფროსად მუშაობს. მრავალჯზის მიუღია მონაწილეობა მაშველ ექსპედიციებში. ალექსეევი მთებმა მრავალი წლის წინათ გაიტაცა. ხან-ტენგრის მწვერვალზე ჯერ კიდევ ომამდე ავიდა. ახალგაზრდა სპორტსმენისათვის ეს ჩინებული სკოლა აღმოჩნდა. შვიდი ათასი მეტრი სიმაღლის ხან-ტენგრის პიკის დაპყრობა ყოველთვის როდია მისაწვდომი გამოცდილი ალპინისტებისთვისაც კი. ახლა ვიქტორ ალექსეევისათვის ჩვენი ქვეყნის ყველა მწვერვალი ცნობილია. იგი მხოლოდ კარპატებში არ ყოფილა.

ამიერილის საკონტროლო პუნქტი ვეებერთელა ტერიტორიას მოიცავს. მისი შემოგარენი ტალასკისა და მერიდიონალურის მწვერვალებამდე გრძელდება. აქ ბევრი ტურისტული და ალპური ბანაკია. ამიერილის ალა-ტაუს ღრუბლებზედა მარშრუტები დიდი პოპულარობით სარგებლობს. ჩვენი ქვეყნის სტუდენტმა გადაწყვიტა რამდენიმე დღე მალალმთიან ტბასთან ისიკ-ყულთან გაეტარებინათ. ტბამდე მისაღწევად მათ ორი დათოვლილი უღელტეხილის — ოზერნისა და აკსუს გადალახვა მოელოდათ. სტუდენტებმა შეადარეთი ადვილად დაძლიეს პირველი, მაგრამ მდინარე აკსუს მისადგომებთან ნისლი დადგებოდათ. ტურისტებს გზა აებნათ და სხვა ხეობაში შეეხვიეს.

ნისლი რომ გაიფანტა და ისინათლა, მათ ისევ დაინახეს ბილიკი. მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ მიხვდა, რომ ეს სხვა ბილიკი იყო, და აკსუს უღელტეხილზე კი არა, აიუკტორუს დათოვლილ პლატოსაკენ მიდიოდა. ისიც დაემატა, რომ ტურისტები სათვალეებს უქონლობის გამო „თოვლის სიბრმავეთ" დაავადდნენ. იძულებული გახდნენ კარგი ექვსკილიანი ძლიერ ქარ-ბუქში გაემართათ.

მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ ორ მათგანს აღუდგა მხედველობა. ჩიჩკემინის ხეობაში დაეშვნენ, გადალახეს მდინარე და ალპინისტების მაშველ ჯგუფს დაუკავშირდნენ.

— ეს ამბავი ჩვენ ღამის 12 საათზე შეგვატყობინეს, — ამბობს ვიქტორ ალექსეევი, — იმ ღამისვე ჩვენმა პუნქტმა და ალპინისტთა რესპუბლიკურმა კლუბმა ორი მაშველი ჯგუფი გაგზავნეს. მიუხედავად ღრმა თოვლისა, ორი დღეღამის განმავლობაში მთელი უღელტეხილი მოიხილეს. დათვალიერეს ყველა უფსკრული და ნაპრალი. კარავი არსად ჩანდა. მაშინ არავინ არ იცოდა, რომ ძებნა საჭიროა არა აკსუს უღელტეხილზე, როგორც სტუდენტებმა შეატყობინეს, არამედ ტორუს პლატოზე.

სამი დღის უმედეგოდ ძებნის შემდეგ ალექსეევმა ვერტფრინავი გამოიძახა. იგი თვითონ გაფრინდა დაზვერვითი ოპერაციისათვის. ვერტმფრინავმა ზრვ. გააკეთა ნაცნობ უღელტეხილზე და მთების სიღრმეში გაუჩინარდა. მალე აიუკ-ტორუს პლატო გამოჩნდა. აქ ალექსეევმა შეამჩნია თოვლით დაფარული კარავი. სტუდენტები გადაარჩინეს.

ამიერილის საკონტროლო მაშველი პუნქტი ალპინისტებთან შეხვედრის რამდენიმე დღის შემდეგ ალპურ ბანაკ „ტალგარში" გიკავი. მინდოდა ჩელიაბინსკელ ინჟინერ მიხეილ ლევინთან მესაუბრა, სწორედ იმასთან, ვინც ხელმძღვანელობდა მთავარი ტალგარის დასავლეთ კედლის ასვლას.

მისვლა ალპინისტურ ბანაკამდე, რომელიც ლამაზ ხეობაში ზღვის დონიდან 2.600 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობდა, ძნელი არ იყო, მაგრამ ლევინის ჯგუფი იქ ადარ დამხვდა. მარშრუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ ალპინისტები ბანაკში აღარ გაჩერებულან და, შინ, ურალისაკენ გამგზავრებულიყვნენ.

— მიხეილ ლევინს კარგად ვიცნობ, — მითხრა ახალგაზრდა სვერდლოვსკელმა ინჟინერმა ვადიმ ზკოდინმა, რომელიც ზვრეულ ალპინისტებთან ერთად ალა-ტაუში ატარებდა. აქ იგი ალპინისტების ჯგუფთან ერთად ხუთი ათასი მეტრი სიმაღლის პიკის ტრუდის დასაპყრობად ემზადებოდა.

— ჩვენ ერთად ვსწავლობდით სვერდლოვსკში. ერთად მოვამზადინეთ ჩვენი პირველი ასვლები კავკასიონზე. მიხეილი სხვათა შორის მარტო ალპინისტი როდია, იგი კარგი პოეტიც არის. იქნებ მოგიტანოთ სიმღერა „ვეიძახის მთები", მისი სიტყვები ლევინს ეკუთვნის. ვადიმმა გიტარა მოიმარჯვა და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. მსუბუქად შეეხო სიმებს, ადიღინდა.

სიმღერა შესანიშნავი და დასამახსოვრებელი იყო. გულმოდგინე და ეფიქრობდი იმათზე, ვინც ხვალ ღრუბლების თეთრ რიდეში გახვეულ იმიერილის ალა-ტაუს მწვერვალებს შეეჭიდება.

ვიცი, რომ ისინი ყველანი მშვიდად იქნებიან. მწვერვალებთან მათს შერკინებას ფიზიკურად სდარეჯობენ მაშველი ჯგუფის ალპინისტები. მთებში დარეულ განგაშის ხმაზე ისინი ჯარისკაცებივით პირნათლად მოიხდიან თავიანთ მოვალეობას.

ი. კარეშვილი.



ეს სურათები გუშინდელი მატჩის შესახებ მოგვითხრობენ. პირველ სურათზე (მარცხნივ) თქვენ ხედავთ თუ როგორ გაქვს „ტორპედოს" კარში პირველი გოლი მ. მესხს. 1:0; 61-ე წუთი. ს. მეტრეველის თავური დარტყმა და... მოსკოველთა მეკარემ ა. კავაზაშვილმა მხოლოდ თვალი გააყოლა კარისკენ გაგორებულ ბურთს. 2:1 (სურათზე მარჯვნივ); შ. იამანიძის უძლიერესი დარტყმის შემდეგ ბურთმა კიდევ ერთხელ შეარხია მოწინააღმდეგის კარის ბადე. ა. კავაზაშვილს მესამედ მოუხდა უსიამოვნო მოგალობის შესრულება (სურათზე ქვემოდ).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

რუსთაველის სახელობის თეატრები
28 ოქტომბერი

წყალდიდობა (მე-10 და გაცდენილი აბონემენტები), **მარჯანიშვილის სახელობის** — ქვდრის ზეი (მე-16 აბონ. მე-9 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — საჭიროა მატყუარა (მე-14 აბონ. 1-ლი წარმოდგენა), **სანკულტურის** — ერთი დღე ავარაკზე, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — დედინაცვალი (აბონ. № 57, საღ. 6 ს.).

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. კომუტატორი: 8-15-00-დან 09-მდე. რედაქტორის მოადგილეების — 9-98-03, 2-08-67, 3/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9 87-61, პროპაგანდის — 3-22-89, მრეწველობის — 2-20-48, სოფლის მეურნეობის — 2-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 2-35 01, ინფორმაციის — 3-16-90, უცხოეთის — დამ. 5-22, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — დამ. 5-76, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ВО 08365

საქ. კპ ცკ-ს გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

2